

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო,
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის

სხდომის ოქმი N48

ქ. ლანჩხუთი

18.10.2017 წ

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: რ.ბიწამე, გ.კერესელიძე, ა.ხუბუნაიშვილი,
ა.ქანთარია, ი.სარჯველაძე, კ. ასკურავა.

სხდომას თავმჯდომარეობდა რ.ბიწამე.

დღის წესრიგი

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N19 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ.
2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 13 ოქტომბრის N5769 წერილის განხილვის შესახებ.
3. სხვადასხვა.

რ.ბიწამემ კომისიას გააცნო „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N19 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და აღნიშნა ლანჩხუთის

სასამართლოს გადაწყვეტილებით დასრულდა ჩვენი კრახით. ამჟამად აღმასრულებელი ხელისუფლება ცდილობს გამოვხატოთ უპატივცემულობა მომავლისადმი, ანუ ახლად არჩეული მერისადმი და საკრებულოსადმი. ვფიქრობ არ არის საჭირო ასეთი აჩქარება სამტატო ნუსხასთან დაკავშირებით და შემოთავაზებული საკითხი არ უნდა იყოს განხილული საკრებულოს სხდომაზე. მისი განხილვა უნდა მივანდოთ ახლად არჩეულ მერს და საკრებულოს, სხვათაშორის დღეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დამსწრე 8 წევრმა აღნიშნულ მოსაზრებას დაუჭირა მხარი.


/მომხრე:6 წინააღმდეგი: არცერთი/

რ.ბიწამე კომისიას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 13 ოქტომბრის N5769 წერილი, რომელიც შეეხება სოფელ შუხუთში არსებულ ე.წ. ფერმერთა სახლის იჯარით გაცემის საკითხს. წერილს დანართის სახით ახლავს მხოლოდ პრეტენდენტთა განცხადებები და აუდიტის დასკვნა. წერილის ბოლოს გამგებელი თხოვს საკრებულოს თავმჯდომარეს განიხილოს „წარმოდგენილი წინადადებები“ და აცნობოს „წარმომადგენლობითი ორგანოს პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით“. საკრებულოს თავმჯდომარეს მსგავსად საკრებულოს სხვა წევრებისა აქვს ერთი ხმა და იგი საკრებულოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე ვერანაირ პოზიციას ვერ აცნობებს აღმასრულებელ ხელისუფლებას. ფაქტია, რომ საკითხი არის მოუმზადებელი არ არის თანხვედრაში მოქმედ კანონმდებლობასთან და გამომდინარე ზემოდაღნიშნულიდან არ უნდა იქნეს იგი განხილული საკრებულოს სხდომაზე, მიუხედავად მისი აქტუალობისა, საკითხის სრულყოფილად მომზადებამდე.

/მომხრე:6 წინააღმდეგი: არცერთი/

ამით კომისიამ მუშაობა დაასრულა.

კომისიის თავმჯდომარე:



რ.ბიწამე

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა
და ეთიკის კომისია**

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37. ტელ: 591.32.41.41.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის

სხდომის დასკვნა N48

ქ.ლანჩხუთი

18.10.2017 წ

2017 წლის 18 ოქტომბერს მოწვეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N19 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ.

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 13 ოქტომბრის N5769 წერილის განხილვის შესახებ.

3. სხვადასხვა.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე კომისიის წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა სამტატო

ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N19 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი არ იქნას განხილული საკრებულოს სხდომაზე.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე კომისიის წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 13 ოქტომბრის N5769 წერილი საკითხის სრულყოფილად მიმზადებამდე არ იქნას განხილული საკრებულოს სხდომაზე.






კომისიის თავმჯდომარე:



რ.ბიწამე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სარეგისტრაციო ფურცელი.

18.10.2017 წ.

1.	რომან ბიწაძე	
2.	გურამ კერესელიძე	
3.	ადამ ხუხუნიანი	
4.	ამირან ქანთარია	
5.	კახაბერ ასკურავა	
6.	იოსებ სარჯველაძე	